15

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : 032(2) 285411

09-02-12-34/02
01 09 2014 წ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით მამისეიშვილს

ბატონო დავით,

შემხვედრი აუცილებლობის გამო, გთხოვთ მომაწოდოთ სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ ბ ე ძიმართ, რომელზედაც დევნა, სავარაუდოდ, დაწყებული უნდა იყოს 2013 წლის 19-იდან 25 სექტემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრი,
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

მედეა ვასაძე

16

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09-02-16/633

09 სექტემბერი 2014 წ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარეს ბატონ დავით მამისეიშვილს

ბატონო დავით,

2014 წლის 1 სექტემბრის ჩემს 09-02-12კ/402 წერილთან დაკავშირებით, რომელიც გუშინ ჩაბარდა სასამართლოს, ვაზუსტებთ მსჯავრდებულის სახელსა და გვარს, რომელიც არის 1981 წელს დაბადებული [illegible]

პატივისცემით,

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრი,
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

მედეა ვასაძე

17

ბათუმის საქალაქო სასამართლო

№21796/14-466 ბ/3

02 სექტემბერი, 2014 წელი

ქალბატონ მედეა ვასაძეს
აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრს,
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონო მედეა,

თქვენი მიმდინარე წლის 01 და 02 სექტემბრის განცხადებების საფუძველზე გეგზავნებათ ბათუმის საქალაქო სასამართლოს №1-963/13 განაჩენის ასლი მხარეთა პერსონალური მონაცემების (სახელის, გვარის, ასაკის, მისამართის, განათლების სამუშაო ადგილის, პროფესიის და სხვ.) გარეშე, ანუ დაშტრიხული სახით.

განგიმარტავთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მხარე არის ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი. შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, თქვენ აღნიშნულ საქმეზე არ წარმოადგენთ მხარეს, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ სისხლის სამართლის საქმის მასალების ქსეროასლები.

დანართი: „06" ფურცლად.

პატივისცემით,

ლალი ქუთათელაძე
კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები
განყოფილების უფროსი

ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30 ტ: 7-97-33; ფაქსი: (0422) 27-97-34
www.court.ge

საქმე 010100113338206
1-963/13

1265360727064

www.info.court.ge

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

22 ივლისი, 2014 წელი ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ხვიჩა კიკილაშვილი
სხდომის მდივანი ირინე მაკარაძე

პროკურორი - მ ქ

ბრალდებული - კ კ ე
ადვოკატი - ჯ კ ე

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა აჭარის ა/რ პროკურატურის უფროსი პროკურორის მ ქ ის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე

საქმე №009200913001

ბრალდებული: კ კ ე
მამის სახელი: ბ
დაბადებული: წელს
დაბადების ადგილი:
მოქალაქეობა:
პირადი ნომერი
ოჯახური მდგომარეობა:
მისამართი:

პასუხისგებაში მიცემის მუხლი: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი; სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი

ბრალდების არსი: ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა

ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა

კ კ ის მიერ ჩადენილ ქმედება გამოიხატა შემდეგში:

კ კ ემ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა გრამ ნარკოტიკულ საშუალება გრამ ფსიქოტროპულ საშუალება მიმდებარე რაც 2013 წლის 20 სექტემბერს ტერიტორიაზე ამოღებული იქნა გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკის შედეგად.

კ კ ის ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ადვოკატთან იურიდიული კონსულტაციის შემდგომ ბრალდებულმა ითხოვა საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალზე შეთანხმებით.

იმის გათვალისწინებით, რომ კ კ ე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, აჭარის ა/რ პროკურატურის უფროს პროკურორ მ ქ სა და ბრალდებულს შორის (მისი ინტერესების დამცველ ადვოკატის მონაწილეობით) 2014 წლის 17 ივლისს დაიდო საპროცესო შეთანხმება ბრალზე, რაც კანონით დადგენილი წესით წინასწარ იქნა შეთანხმებული ზემდგომ პროკურორთან.

2014 წლის 21 ივლისს აჭარის პროკურატურიდან ბათუმის საქალაქო სასამართლოში შემოვიდა №009200913001 სისხლის სამართლის საქმეზე აჭარის ა/რ პროკურატურის უფროსი პროკურორის მ ქ ის შუამდგომლობა ბრალდებულთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ.

საქმის განხილვის სხდომაზე პროკურორმა იშუამდგომლა ბრალდებულთან დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, იმის თაობაზე, რომ კ კ ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით. მასვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით, რაცსაქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა ძირითადმა

სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი, და დანაშაულთა ერთობლიობით, კ კ ეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით 04 (ოთხი) წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 03 ივლისის კანონის საფუძველზე 01 (ერთი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში-საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება. აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება. საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების - შედეგად ამოღებული ცალ ტაბლეტის ნატეხი საერთო წონით გრამიუ, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება გრამჯის ოდენობით, ცალი კაფსულა მასში არსებული ფხვნილით საერთო წონით გრამი, რომელიც შეიცავს ფსიქოტროპუ ნივთიერება პ . გრამის ოდენობით , განადგურდეს.

სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ბრალდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 209–213-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, განიხილა რა შუამდგომლობის დასაბუთებულობა, გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მოისმინა რა პროცესის მონაწილეთა განმარტებები, მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები, კერძოდ: შეტყობინება დანაშაულის ჩადენის შესახებ, კ კ ის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, კ კ ის ჩვენება, სასამართლოს განჩინება, დადგენილებები ნარკოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, ნარკოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები, მოწმეების ი გ ის და მ ზ ის ჩვენებები და საქმეში არსებული სხვა მასალები საკმარისია ბრალდებულ კ კ ის მიმართ წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად, ხოლო ბრალდებულის პიროვნების, მისი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, შუამდგომლობაში მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი.

სასამართლო დარწმუნდა ასევე, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს ადგილი არ ჰქონია ძალადობას, დაშინებას, მოტყუებას ან რაიმე უკანონო დაპირებას, ბრალდებულს არ შეზღუდვიათ უფლება მიეღოთ

კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული იქნა, რომ ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც ედება ბრალი და ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს. მისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ. ბრალდებული აცნობიერებს, რომ აქვს საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მესამე ნაწილის "ე" პუნქტით გათვალისწინებული უფლებები.

ამდენად, პროკურორის მიერ ბრალდებულ კ კ ის ქმედების ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასება არის სწორი, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება მის მიმართ წარდგენილი ბრალდება, რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს აჭარის ა/რ პროკურატურის უფროსი პროკურორის მ ქ ის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე და საქმის არსებითი განხილვის გარეშე ბრალდებული კ კ ე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-217-ე, 230-ე, 258-260-ე, 269-ე, 271-274-ე, 277-ე, 280-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დაკმაყოფილდეს პროკურორის შუამდგომლობა. დამტკიცდეს ზემდგომი პროკურორის თანხმობით 2014 წლის 17 ივლისს დადებული საპროცესო შეთანხმება.

2. კ კ ე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 04 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით. მასვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

კ კ ე ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის

ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით, რაცსაქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, მუხლის საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი, ხოლო დამატებითი სასჯელის შეჯამებით **დანაშაულთა ერთობლიობით, კ კ ეს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების** აღკვეთა 04 (ოთხი) წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე შეეცვალოს პირობითი მსჯავრით **04 (ოთხი)** წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა 10000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

კ კ ეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადაში (მისი აღსასრულებლად მიქცევის შემთხვევაში) ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო - 2013 წლის 20 სექტემბრიდან 2013 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით.

კ კ ის მიმართ შერჩეული აღკვეთი ღონისძიება – გირაო გაუქმდეს და **განაჩენის** აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს შემტანს მ ჩ ას დაუბრუნდეს სს ,,საქართველოს ბანკში" 2013 წლის 21 სექტემბერს – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით შეტანილი საგირავნო თანხა.

ჯარიმის გადახდაზე კონტროლი დაევალოს მსჯავრდებულის საცხოვრებელი **ადგილის მიხედვით შესაბამის სააღსრულებო ბიუროს.**

3. პირობით მსჯავრდებულ **კ კ ის** ყოფა-ქცევაზე კონტროლი **დაევალოს** საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – **საქართველოს** სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამის პრობაციის ბიუროს, **რომელსაც** საცხოვრებელი ადგილის **შეცვლის** შემთხვევაში **დაუყოვნებლივ** ა**ცნობოს** პირობით მსჯავრდებულმა.

4. ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს 2007 წლის 03 ივლისის კანონის მე-3 მუხლის მე-4[1] ნაწილის საფუძველზე 01 (ერთი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების **მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის** უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში-საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, **შეძენის, შენახვისა** და **ტარების** უფლება, **საექიმო** საქმიანობის **უფლება.** რის **შესახებაც** დაუყოვნებლივ ეცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.

5. საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების - შედეგად ამოღებული ცალ ტაბლეტის ნატეხი საერთო წონით გრამი, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება გრამის ოდენობით, ცალი კაფსულა მასში არსებული ფხვნილით საერთო წონით გრამი, რომელიც შეიცავს ფსიქოტროპუ ნივთიერება გრამის ოდენობით , განადგურდეს.

6. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

7. განაჩენი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ არ ექვემდებარება გასაჩივრებას, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

განაჩენი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ მსჯავრდებულს შეუძლია გაასაჩივროს მისი გამოტანიდან 15 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32), ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით, თუ საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით; ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება; საპროცესო შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; ან საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო კანონით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.

თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში, პროკურორი უფლებამოსილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. №32), ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით, წარადგინოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

მოსამართლე:
ხვიჩა კიკილაშვილი